



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 212

2013 წლის 31 დეკემბერი
ქალაქი ხაშური

უმწეოთა უფასო კვების მომსახურების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის ირინე გელაშვილის 2013 წლის 26 დეკემბრის N4366 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად, 2013 წლის 25 დეკემბერს (სატენდერო განცხადება (SPA130028810) გამოცხადებულია უმწეოთა უფასო კვების მომსახურების შესყიდვაზე გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დაცვით ტენდერის დასრულება და მიმწოდებელთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება, სადღესასწაულო და დასვენების დღეების სიმრავლის გამო, გაგრძელდება 2014 წლის 14 იანვრამდე, რაც გამოიწვევს 13(ცამეტი) დღის განმავლობაში ბენეფიციარების პროგრამით გათვალისწინებული ყოველდღიური სადილის გარეშე დარჩენას.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, უმწეოთა უფასო კვების მომსახურების შესყიდვა გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის N86 დადგენილებით დამტკიცებული ხაშურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესაბამისად:

1. განხორციელდეს უმწეოთა უფასო კვების მომსახურების გამარტივებული შესყიდვა 2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 14 იანვრამდე;
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად;
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე
დავით ლომიძე

